

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
4600, ქუთაისი. ნიკეას ქუჩა №13. ტელ/ფაქსი: (8231) 23 26 00; (8231) 23 26 01. ელ.ფოსტა: zspa@zspa.ge



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა ნ ა თ ლ ე ბ ის ა და მ ე ც ნ ი ე რ ბ ის ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

ს ს ი პ ზ უ რ ა ბ ჟ ვ ა ნ ი ა ს სა ხ ე ლ ო ბ ის სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ა დ მ ი ნ ის ტ რ ი რ ე ბ ის ს კ ო ლ ა



პ რ ო გ რ ა მ ა

ს ა ჯ ა რ ო მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა და ა დ მ ი ნ ის ტ რ ი რ ე ბ ა

ქუთაისი

2018



სწავლების მიზანი:

პროგრამა - “საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება“ შექმნილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 320303 ქვეპროგრამის საფუძველზე და სწავლების მიზანია საჯარო სექტორში მომუშავე და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავების, ასევე პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების გზით, ისეთ მიმართულებებში, როგორცაა:

- საჯარო ორგანიზაციების მართვა;
- ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში;
- ფინანსების მართვა და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია;
- ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა.

მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები:

- საქართველოს რეგიონების სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული და სხვა დაინტერესებული პირები

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა:

- სახელმწიფო ენის ცოდნა-დადასტურებული სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის B1 დონის სერტიფიკატით, ან სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტით, ან სკოლის მიერ ჩატარებული სახელმწიფო ენის ცოდნის განმსაზღვრელი გამოცდის წარმატებით გავლა(ეროვნული უმცირესობებისათვის).
- საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება(ასეთის არსებობის შემთხვევაში);



მისაღწევი შედეგები:

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურებისა და სხვადასხვა საჯარო სექტორში დასაქმებულ მოხელეთა, ასევე დასაქმების მსურველ პირთა პროფესიული ცოდნის მიღება, კვალიფიკაციის ამაღლება. სწავლის პროცესში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენება-დანერგვა.

მსმენელთა შეფასების სისტემა:

მსმენელი ფასდება პროგრამაში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით. მსმენელი ჩაითვლება წარმატებულად, თუ მას დაძლეული აქვს მსმენელის შეფასების სისტემით დადგენილი მინიმალური ზღვარი,

პროგრამის თითოეული დარგობრივი მიმართულება მოიცავს ძირითად და ზოგად სასწავლო კურსებს. დარგობრივი მიმართულების თითოეულ სასწავლო კურსში მსმენელის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

ფასდება:

1. მეცადინეობებზე დასწრება;
2. შუალედური აქტივობა - (სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე) ტესტირება, შესრულებული პრეზენტაცია, შესრულებული პრაქტიკული სამუშაო და ა.შ, სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად;
3. დასკვნითი გამოცდა - ტესტირება, წერიითი ან ზეპირი გამოცდა, სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

სერტიფიკატი მიეცემა მსმენელს, თუ:

1. დარგობრივი მიმართულების ყველა ძირითადი საგნის/სასწავლო კურსის შეფასების ქულა 70 ან მეტია;
2. დარგობრივი მიმართულების ყველა ძირითადი საგნის/სასწავლო კურსის შეფასების მინიმალური ზღვარი დასკვნითი გამოცდისთვის განისაზღვრება 20 ქულით (40 ქულიდან).
3. დარგობრივი მოდულის ყველა ზოგადი საგნის/სასწავლო კურსის შეფასების ქულა 61 ან მეტია;



მსმენელს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ სისტემის განსაზღვრულ პირობებს, მიეცემა ცნობა დარგობრივი მიმართულების მოსმენის შესახებ, მოსმენილი სასწავლო კურსების ჩამონათვალითა და შეფასების ქულებით.

შენიშვნა:

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, მსმენელთა დასწრებისა და შეფასების შესახებ ინფორმაცია საჯარო სამსახურებში დასამუშავლათა შემთხვევაში, გადაეგზავნებათ მათ დამსაქმებელთ.

დარგობრივი მიმართულებები, რომლებსაც მოიცავს სასწავლო პროგრამა:

1. საჯარო ორგანიზაციების მართვა;
2. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში;
3. ფინანსების მართვა და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია;
5. ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა.

პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება:

პროგრამის ხანგრძლივობაა:

14 დღე - აქედან 11 დღე დაეთმობა სწავლების პროცესს (სულ 66 საკონტაქტო აკადემიური საათი), 1 დღე მსმენელთა სოციალურ აქტივობას, 1 დღე დასკვნით გამოცდას, 1 დღე სერტიფიკატების გადაცემას იმ მსმენელთათვის, რომელთაც გადალახეს მსმენელის შეფასების სისტემით დადგენილი მინიმალური დაწესებული ზღვარი, თითოეულ დისციპლინაში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კვირაში 6 დღე, ყოველდღიურად იგეგმება აუდიტორიული მეცადინეობები არაუმეტეს 7 საათისა.

დარგობრივ მიმართულებებში შემავალი სასწავლო კურსების საათობრივი განაწილება მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.



ცხრილი 1.

საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება						
დარგობრივი მოდული	სასწავლო კურსი/დისციპლინა	კრედიტების რ-ბა	საათების რაოდენობა			
			ლექცია	შეფასება	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ
1 საჯარო ორგანიზაციების მართვა	1 საჯარო/მუნიციპალური მომსახურების მართვა *	1,5	28	2	9	39
	2 სტრატეგიული აზროვნება და ხედვა	0,5	10	2	1	13
	3 საჯარო ფინანსების საფუძვლები	0,5	10	2	1	13
	4 სახელმწიფო შესყიდვები	0,5	10	2	1	13
	5 სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები	0,5	8	2	3	13
2 ადამიანური რესურსების მართვა და რესურსების მართვა და საქმისწარმოება	1 ადამიანური რესურსების მართვა *	1,5	24	2	13	39
	2 საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა	1,5	24	2	13	39
	3 კომუნიკაციის ფსიქოლოგია	0,5	10	2	1	13
	4 სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები	0,5	8	2	3	13
3 ფინანსების მართვა და შიდა აუდიტი	1 საჯარო ფინანსების მართვა *	1,5	24	2	13	39
	2 შიდა აუდიტი	1	12	2	12	26
	3 პროგრამული ბიუჯეტი	1	12	2	12	26
	4 საბუღალტრო აღრიცხვა	0,5	10	2	1	13
	5 სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები	0,5	8	2	3	13



4 საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია	1 პიარის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები *	1	20	2	4	26
	2 კომუნიკაციის ფსიქოლოგია	1	22	2	2	26
	3 პოლიტიკური პიარი	1	16	2	8	26
	4 სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები	0,5	8	2	3	13
5 ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა	1 სამოქალაქო მშენებლობა, ნორმები და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება *	1,5	24	2	13	39
	2 გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ტექნიკური ზედამხედველობა	1	20	2	4	26
	3 სასმელი წყლის მაგისტრალების მშენებლობა და მათი ტექნიკური ზედამხედველობა	1	14	2	10	26
	4 სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები	0,5	8	2	3	13

შენიშვნა:

- ერთი კრედიტი უდრის 26 საათს;
- * - ძირითადი სასწავლო კურსები, რომელთათვისაც შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 70 ქულას-ს; კრედიტი მიენიჭება მსმენელს 70 ქულიანი ზღვარის გადალახვის შემდეგ. ამ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდა ჩატარდება ცენტრალიზებული წესით.
- იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, დარგობრივ მიმართულებაში შემავალი სასწავლო კურსების ხანგრძლივობა შეიძლება შეიცვალოს სასწავლო პროცესის მართვის საბჭოს თანხმობის საფუძველზე.



დარგობრივი მიმართულება

საჯარო ორგანიზაციების მართვა

1.1. მიმართულების დასახელება: საჯარო ორგანიზაციების მართვა

1.2. სწავლების მიზანი:

მსმენელი უკეთ გაეცნოს და შეისწავლოს მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები, საჯარო მმართველობის ძირითადი პრინციპები და შედეგზე ორიენტირებული მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია. ჩამოუყალიბდეს და განუვითარდეს მენეჯერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მათ შორის სტრატეგიული აზროვნების უნარი. მოახერხოს ორგანიზაციის ეფექტურად მართვა და განვითარება. აღიჭურვოს იმ აუცილებელი ინსტრუმენტებით, რომელიც უზრუნველყოფს მენეჯერის მაღალ ეფექტურობასა და წარმატებას. ზუსტად განსაზღვროს თავისი ადგილი და ფუნქცია საჯარო დაწესებულება/სამსახურში და ზუსტად განსაზღვროს მისდამი დაქვემდებარებული პირების ფუნქცია და უფლება-მოვალეობები.

1.3. მისაღწევი შედეგები:

დარგობრივი მიმართულების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი შეიძენს ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- საჯარო სამსახურის არსი, მისი ფუნქცია და მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის;
- საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი უფლებები და მოვალეობები;
- სამუშაოს, სამუშაო დროის დაგეგმვა და ეფექტურად მართვა;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვა, კონტროლი;
- შედეგებზე ორიენტირებული მართვა;
- ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილება;
- სწორი გადაწყვეტილებების მიღება;
- საჯარო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის ძირითად საკითხების დაუფლება;



- ორგანიზაციის განვითარების სამოქმედო გეგმის შედგენა, აღსრულება და მონიტორინგი;
- საქმიან ურთიერთობათა ეთიკა, სამსახურებრივი კონფლიქტების პრევენცია და მართვა;

1.4. დარგობრივ მიმართულებაში შემავალი სასწავლო კურსები:

- საჯარო/მუნიციპალური მომსახურების მართვა
- სტრატეგიული აზროვნება და ხედვა
- საჯარო ფინანსების საფუძვლები
- სახელმწიფო შესყიდვები
- სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები

1.5. სასწავლო კურსის შეფასების სისტემა:

მსმენელი ფასდება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით; მსმენელი ჩაითვლება წარმატებულად თუ მას დაძლეული აქვს კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების მინიმალური ზღვარი.

მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

სასწავლო კურსში „საჯარო მუნიციპალური მომსახურების მართვა“, მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-10

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=10-(Y*10/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;



Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 50.

ფასდება:

ტესტირება/შესრულებული პრეზენტაცია/პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.(შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ტრენერი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით).

3. დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 40.

ფასდება:

ტესტირება, წერიტი ან ზეპირი გამოცდა, სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

3.1 დარგობრივი მიმართულების ძირითად სასწავლო კურსებში საბოლოო გამოცდისთვის მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით (40 ქულიდან).

დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2, მე-3 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.

სასწავლო კურსებში „სახელმწიფო შესყიდვები“, „სტრატეგიული აზროვნება და ხედვა“, „საჯარო ფინანსების მართვა“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-30

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=30-(Y*30/X),$$

სადაც:



K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. **შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა.**

შეფასების მაქსიმალური ქულაა 70.

ფასდება:

ტესტირება, წერითი ან ზეპირი გამოცდა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ ტრენერის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სილაბუსის შესაბამისად.

სასწავლო კურსში „სამოქალაქო განათლება და ეთიკის ზოგადი წესები“ შეფასება მოხდება „ჩათვლის“ საფუძველზე.

3. **დარგობრივი მოდულის თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.**



დარგობრივი მიმართულება

ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში

1.1 მიმართულების დასახელება: ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში

1.2. სწავლების მიზანი:

HR როლისა და ფუნქციის შესახებ ხედვის ჩამოყალიბება. საქმისწარმოების ზოგადი პრინციპების შესწავლა, ადამიანური რესურსების მართვაში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ყველა იმ ტექნიკისა და მექანიზმის გაცნობა, რომელიც საჭიროა ადამიანური რესურსების მართვის თითოეული ფუნქციის წარმატებით განსახორციელებლად. მსმენელის საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკული სამუშაოების განხილვა/შესრულება.

მსმენელმა შეძლოს:

- უკეთ დაგეგმოს და შეასრულოს მასზე დაკისრებული ადამიანური რესურსების მართვის ოთხი ძირითადი ფუნქცია-ორგანიზება/დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლის მართვა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლის მართვა.
- მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები მის წინაშე დასმული მნიშვნელოვანი ამოცანებისა თუ კითხვების შესახებ.
- ქართულ საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვა.
- სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ელექტრონულად დოკუმენტების მომზადება და გამართული საქმისწარმოება;

1.3. მისაღწევი შედეგები:

დარგობრივი მიმართულების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს ორგანიზაციის საჭიროებებზე მორგებული ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და მიდგომების შერჩევას და გამოყენებას პრაქტიკაში. მსმენელი შეიძენს ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და მისი ფუნქციები;
- პროცესის დაგეგმვა/ორგანიზება;
- ორგანიზაციის ადამიანური რესურსების ერთეული ანალიზი;



- სამუშაო აღწერილობების შემუშავება და ფუნქციების გადანაწილება;
- რეკრუტინგი, შერჩევა, კონკურსი;
- კადრების მოზიდვის პროცესი და მეთოდები;
- ფსიქოლოგიური ასპექტები კადრების შერჩევისა და სოციალიზაციის პროცესში;
- სამუშაოს მართვა და შესრულებული სამუშაოს შეფასება, უკუკავშირი;
- პერსონალის მართვაში ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენება;
- ადამიანური რესურსების მართვაში და საქმისწარმოებაში ელ-მმართველობის ელემენტების გამოყენება;

1.4. დარგობრივ მიმართულებაში შემავალი სასწავლო კურსები:

- ადამიანური რესურსების მართვა
- საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა
- კომუნიკაციის ფსიქოლოგია
- სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები

1.5. სასწავლო კურსის შეფასების სისტემა:

მსმენელი ფასდება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით; მსმენელი ჩაითვლება წარმატებულად თუ მას დაძლეული აქვს კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების მინიმალური ზღვარი.



მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

სასწავლო კურსში „ადამიანური რესურსების მართვა“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-10

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=10-(Y*10/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 50.

ფასდება:

ტესტირება/შესრულებული პრეზენტაცია/პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.(შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ტრენერი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით).

3. დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 40.

ფასდება:

ტესტირება, წერიითი ან ზეპირი გამოცდა, სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

3.1 დარგობრივი მიმართულების ძირითად სასწავლო კურსებში საბოლოო გამოცდისთვის მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით (40 ქულიდან).



4. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2, მე-3 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.

სასწავლო კურსებში „საქმისწარმოება და ელ. მმართველობა“ „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-30

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=30-(Y*30/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 70.

ფასდება:

ტესტირება, წერითი ან ზეპირი გამოცდა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ ტრენერის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სილაბუსის შესაბამისად.

სასწავლო კურსში „სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები“ შეფასება მოხდება „ჩათვლის“ საფუძველზე.

3. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.



დარგობრივი მიმართულება

ფინანსების მართვა და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში

1.1. მიმართულების დასახელება: ფინანსების მართვა და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში

1.2. სწავლების მიზანი:

მსმენელმა პრაქტიკულ სწავლებაზე დაყრდნობით შეისწავლოს და უკეთ გაიცნოს საჯარო ფინანსების ძირითადი საკითხები, ფინანსური ანგარიშების არსი და ფუნქციები; მიიღოს ინფორმაცია ფინანსური სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან დაკავშირებით. აიმაღლოს ცოდნა საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ. დაეუფლოს ბიუჯეტის შედგენა-შესრულების ტექნიკას და ორგანიზებას; შეისწავლოს ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი წესები, პირობები და ანგარიშთა გეგმა. მიიღოს ცოდნა იმ საჭირო უნარ-ჩვევების შესახებ რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად. შეძლოს მიღებული პროფესიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება.

1.3. მისაღწევი შედეგები:

დარგობრივი მიმართულების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი შეიძენს ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯები, გასაცემლები, გადასახადები, მოსაკრებლები;
- ბიუჯეტის დაგეგმვა-შედგენა;
- დასახარჯი თანხების სწორი გადანაწილება;
- საბუღალტრო აღრიცხვის ზოგადი პრინციპები საჯარო სექტორში;
- ეკონომიკური მოვლენები და ბუღალტრული აღრიცხვის წესები;
- ბალანსის შედგენა;
- არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები;



- კაპიტალი, საცნობარო მასალები;
- საბალანსო ანგარიშგება;
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლოს სისტემა;
- აუდიტორული დოკუმენტების სწორად წაკითხვა;
- აუდიტის პროცესის სწორი და ეტაპობრივი დაგეგმვა;
- აუდიტის ჩატარება;
- აუდიტორული დოკუმენტაციის მომზადება;
- აუდიტორული დასკვნის დადგენა;
- პროგრამული ბიუჯეტირება, შედგენის მეთოდოლოგია;
- საშუალოვადიან გეგმები, პრიორიტეტები, აღწერა და მიზნები;
- პროგრამული ბიუჯეტის კლასიფიკაცია, შუალედური და საბოლოო შედეგები.

1.4. დარგობრივ მიმართულებაში შემავალი სასწავლო კურსები:

- საჯარო ფინანსების მართვა
- შიდა აუდიტი
- პროგრამული ბიუჯეტი
- საბუღალტრო აღრიცხვა
- სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები

1.5. სასწავლო კურსის შეფასების სისტემა:

მსმენელი ფასდება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით; მსმენელი ჩაითვლება წარმატებულად თუ მას დაძლეული აქვს კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების მინიმალური ზღვარი.



მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

სასწავლო კურსში „საჯარო ფინანსების მართვა“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-10

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=10-(Y*10/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 50.

ფასდება:

ტესტირება/შესრულებული პრეზენტაცია/პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.(შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ტრენერი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით).

3. დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 40.

ფასდება:

ტესტირება, წერილი ან ზეპირი გამოცდა, სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

3.1 დარგობრივი მიმართულების ძირითად სასწავლო კურსებში საბოლოო გამოცდისთვის მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით (40 ქულიდან).



4. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2, მე-3 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.

სასწავლო კურსებში „საბუღალტრო აღრიცხვა“, „პროგრამული ბიუჯეტი“, „შიდა აუდიტი“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-30

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=30-(Y*30/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 70.

ფასდება:

ტესტირება, წერითი ან ზეპირი გამოცდა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ ტრენერის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სილაბუსის შესაბამისად.

სასწავლო კურსში „სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები“ შეფასება მოხდება „ჩათვის“ საფუძველზე.

3. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.



დარგობრივი მიმართულება

საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია

1.1. მიმართულების დასახელება: საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია

1.2. სწავლების მიზანი:

მისცეს მსმენელს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია PR სამსახურის თანამშრომლის პოზიციაზე წარმატებული მუშაობისათვის და შეძლოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და დანერგვა. შეუქმნას ნათელი წარმოდგენა PR-ის, მისი მნიშვნელობის, ბაზისური ელემენტების, შემადგენელი ნაწილებისა, მთავარი ცნებებისა და ძირითადი ასპექტების, ღონისძიებათა მართვის პრინციპების შესახებ. გამოუმუშაოს პიარ საკომუნიკაციო აქტივობებისა და კომუნიკაციის ჩამოყალიბების უნარები. გააცნოს მსმენელს კომუნიკაციის დანიშნულება საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესებში. შეასწავლოს PR სტრატეგიის თავისებურებები პოლიტიკაში, პოლიტიკური იმიჯის შექმნის ხელოვნება და მისი მეთოდოლოგიის ძირითადი სკიტხები

1.3. მისაღწევი შედეგები:

დარგობრივი მიმართულების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი შეიძენს ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანი, არსი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სახეები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტები-პრესრელიზი, ბრიფინგი, პრესკონფერენცია, პრეზენტაცია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკა;
- პიარის გრძელვადიანი და მოკლე ვადიანი სტრატეგიული დაგეგმარება;
- პიარ კამპანიების დაგეგმვა და მართვა;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობა;



- პოლიტიკური მესიჯის შექმნის მეთოდოლოგიები;
- პოლიტიკა და მედია საშუალებები;
- პოლიტიკური იმიჯის შექმნა(ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციები);
- პრეზენტაცია/წარდგენის ხელოვნება, დებატების და კამათის კულტურა;
- კომუნიკაციის ცნება, მეთოდები;
- კომუნიკაციის ელემენტები;
- საკომუნიკაციო არხები და საშუალებები;
- ეფექტური კომუნიკაცია;

1.4. დარგობრივ მიმართულებაში შემავალი სასწავლო კურსები:

- კომუნიკაციის ფსიქოლოგია
- პიარი-თეორია და პრაქტიკის საფუძვლები
- პოლიტიკური პიარი
- სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები

1.5. სასწავლოკურსის შეფასების სისტემა:

მსმენელი ფასდება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით; მსმენელი ჩაითვლება წარმატებულად თუ მას დაძლეული აქვს კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების მინიმალური ზღვარი.



მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

სასწავლო კურსში „პიარი-თეორია და პრაქტიკის საფუძვლები“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-10

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=10-(Y*10/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 50.

ფასდება:

ტესტირება/შესრულებული პრეზენტაცია/პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.(შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ტრენერი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით).

3. დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 40.

ფასდება:

ტესტირება, წერითი ან ზეპირი გამოცდა, სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.



3.1 დარგობრივი მიმართულების ძირითად სასწავლო კურსებში საბოლოო გამოცდისთვის მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით (40 ქულიდან).

4. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2, მე-3 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.

სასწავლო კურსებში „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“, „პოლიტიკური პიარი“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-30

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=30-(Y*30/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 70.

ფასდება:

ტესტირება, წერითი ან ზეპირი გამოცდა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ ტრენერის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სილაბუსის შესაბამისად.

სასწავლო კურსში „სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები“ შეფასება მოხდება „ჩათვლის“ საფუძველზე.

3. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.



დარგობრივი მიმართულება

ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა

1.1. მიმართულების დასახელება: ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა

1.2. სწავლების მიზანი:

ადგილობრივ თვითმმართველობებსა და საჯარო სტრუქტურებში, ადგილობრივი ზედამხედველობის სამსახურების თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლება, და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება ტექნიკური ზედამხედველობის კუთხით.

მისცეს მონაწილეებს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ, ჯგუფური სამუშაოებისა და სავარჯიშოების საშუალებით, ასევე, ობიექტებზე გასვლითა და პრაქტიკული მაგალითების მიღებით, განივითარონ თავიანთი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

შეისწავლონ სამოქალაქო მშენებლობასთან დაკავშირებული რეგულაციები, გაითავისონ ზედამხედველის უფლება-მოვალეობები. გაიღრმავონ ცოდნა საავტომობილო გზების მშენებლობის საკითხებზე. შეძლონ შესრულებული სამუშაოების ხარისხის შეფასება მოქმედი ნორმების დაცვით. გაიუმჯობესონ წყალმომარაგებისა და წყალარინების სფეროს მშენებლობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობასთან დაკავშირებული უნარები. შეძლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და დანერგვა.

1.3. მისაღწევი შედეგები:

დარგობრივი მიმართულების დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, აიმაღლებს კვალიფიკაციას ტექნიკური ზედამხედველობის კუთხით და შეიძენს ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- სამშენებლო ნორმები;
- პროცესის დაგეგმვა/ორგანიზება;
- შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების დადგენისა და დეფექტური აქტის მომზადების მეთოდები;
- პროექტში ცვლილებების შეტანის სამართლებრივი პრინციპები;



- ტექნიკური დავალებების ცვლილებების განხორციელების პირობები;
- შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა/ კონტროლის მექანიზმები;
- ძირითადი გზის ელემენტები;
- გზის სამოსის ტიპები;
- სარეონტო სამუშაოები და გზის მოვლა-შენახვა;
- გაბიონი, გაბიონის ტიპები, გამოყენების ადგილები და დანიშნულება;
- რას სწავლობს გეოლოგი;
- რკინა ბეტონის მილების დანიშნულება და კონსტრუქცია;
- ზოგადი მიმოხილვა სახიდე გადასასვლელებზე;
- ცემენტ-ბეტონის საფარზე ბზარის გაჩენის საწინააღმდეგო ღონისძიებები;
- გზის სავალ ნაწილზე საკანალიზაციო ჭების აწევა, მოწყობა;
- ტექ. ზედამხედველის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის მნიშვნელობა;
- გზის კატეგორია და კლასიფიკაცია;
- ფარული აქტების შედეგენა;
- ტექ. ზედამხედველის ჩანაწერები;
- დასრულებული სამუშაოების შემოწმება და ფორმა 2-ის შევსება ტექ. ზედამხედველის მიერ;
- წყალმომარაგების სისტემა;სასმელი წყლის მოპოვება და დამუშავება;
- სასმელი წყლის ტრანსპორტირება, მომარაგება, განაწილება, ჩაშვება;
- წყალმომარაგების სისტემების ცალკეული ელემენტების სპეციფიკა;

1.4. დარგობრივ მიმართულებაში შემავალი სასწავლო კურსები:

- გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ტექნიკური ზედამხედველობა



- სამოქალაქო მშენებლობა (ადმინისტრაციული შენობები, საბავშვო ბაღები და სხვა), ნორმები და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება-
- სასმელი წყლის მაგისტრალების მშენებლობა და მათი ტექნიკური ზედამხედველობა
- სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები

1.5. სასწავლო კურსის შეფასების სისტემა:

მსმენელი ფასდება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით; მსმენელი ჩაითვლება წარმატებულად თუ მას დაძლეული აქვს კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების მინიმალური ზღვარი.

მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

სასწავლო კურსში „სამოქალაქო მშენებლობა (ადმინისტრაციული შენობები, საბავშვო ბაღები და სხვა), ნორმები და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება“ მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-10

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=10-(Y*10/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 50.



ფასდება:

ტესტირება/შესრულებული პრეზენტაცია/პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.(შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ტრენერი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით).

3. დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 40.

ფასდება:

ტესტირება, წერთი ან ზეპირი გამოცდა, სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად.

3.1 დარგობრივი მიმართულების ძირითად სასწავლო კურსებში საბოლოო გამოცდისთვის მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით (40 ქულიდან).

4. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2, მე-3 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.

სასწავლო კურსებში „გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ტექნიკური ზედამხედველობა“, „სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა და მათი ტექნიკური ზედამხედველობა“, მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

1. მეცადინეობაზე დასწრება.

შეფასების მაქსიმალური ქულაა-30

მეცადინეობებზე დასწრების ქულა გაიანგარიშება ფორმულით:

$$K=30-(Y*30/X),$$

სადაც:

K - შეფასების ქულაა;

X - მოცემული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა.

2. შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა.



შეფასების მაქსიმალური ქულაა 70.

ფასდება:

ტესტირება, წერითი ან ზეპირი გამოცდა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ ტრენერის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სილაბუსის შესაბამისად.

სასწავლო კურსში „სამოქალაქო განათლება და ეთიკის საფუძვლები“ შეფასება მოხდება „ჩათვლის“ საფუძველზე.

3. დარგობრივი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით საბოლოო შეფასება წარმოადგენს მსმენელის მიერ მიღებული 1-ლი, მე-2 მუხლებით განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამს.

მსმენელთა რაოდენობა ერთ აკადემიურ ჯგუფში:

არანაკლებ 10 და არაუმეტეს 20 ადამიანისა.

მატერიალური და ტექნიკური ბაზა:

სკოლაში შექმნილია სწავლისთვის ადეკვატური გარემო. მას გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორიები მასწავლებლის კომპიუტერიზებული სამუშაო ადგილით, მულტიმედია-პროექტორით (საპროექციო ტელევიზორით), საწერი დაფით და კომპიუტერიზებული აუდიტორიები.